2022 წლისათვის საბავშვო ბავშვის ამღზრდელების გადამზადებაზე დაიხარჯება 16 000 ლარი, ხოლო სხვა და სხვა სატრენინგო და აუდიტორულ მომსახურებაზე გამოყოფილ იქნა 13 400 ლარი.

მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის

ხელშეწყობა

ადმინისტრაციული სამსახური

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა. მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ გარკვეული სახის ინფორმაცია. მერიის ფეისბუქის ოფიციალური გვერდის პირად შეტყობინებაში ნებისმიერ მოქალაქეს აქვს საშუალება მიაწვდინოს ხმა ხელისუფლებას მისთვის საინტერესო და პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით.

2022 წელს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განყოფილების მიერ სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე, მერიის აქტივობები ქვეყნდება საინფორმაციო სააგენტოების გვერდზე და შუქდება ტელევიზიით. მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია, არა მარტო სიახლეების განთავსების თვალსაზრისით გამოირჩევა, არამედ მოქალაქეთა კითხვებზე ოპერატიული რეაგირებით.

განყოფილება ასევე უზრუნველყოფს ვებ-გვერდის მეშვეობით მოქალაქეთა ინფორმირებულობას. პერიოდულად მზადდება ვიდეორგოლები, რომელიც გადის ტელეკომპანია „იმერვიზიაზე“ და განთავსებულია, როგორც მერიის გვერდზე, ასევე მერიის მიერ ქალაქში დამონტაჟებულ მთავარ მონიტორზე.

მუშაობს „ცხელი ხაზი“, რომელიც ახდენს რეაგირებას შემოსულ ზარებზე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოიყენება მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ფორმა, როგორიცაა „ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“.

2022 წლის განმავლობაში 12 ვაკანსიაზე გამოცხადდა 2 ღია კონკურსი, კონკურსის შედეგად 9 საჯარო მოხელე დასაქმდა სხვადასხვა პოზიციებზე, ახლად დასაქმებულმა საჯარო

მოხელეებმა, პროფესიული განვითარების ინტერმუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, გაიარეს პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა. 2022 წლის წლის განმავლობაში საჯარო მოხელეთა ცნობიერების აღლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით ასევე გაიმართა მრავალი შეხვედრა და ტრენინგი, როგორც ონლაინ, ასევე საკლასო რეჟიმში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვისა და მერისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარმდგენი საბჭო, რომელიც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ყოველ თვეში 2-3-ჯერ იკრიბება, ახდენს მოქალაქეთა განცხადებების და მონიტორინგის სპეციალიტების წარმოდგენილ დასკვნების განხილვას და რეკომენდაციების წარდგენას მუნიციპალიტეტის მერისთვის განხორციელებული მონიტორინგის შესახებ. სტატუსის მინიჭებული მოქალაქეები სარგებლობენ მთელი რიგი სოციალური შეღავათებით.

ჭიათურაში 21 სოფელი გვაქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მატარებელი, სულ 2016 წლიდან დღემდე 7 167 მოქალაქეს აქვს მინიჭებული მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსი, აქედან 168 პირს 2022 წელში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კი, მუნიციპალიტეტის 60-ივე სოფელში ჩატარდა დასახლების საერთო კრებები და კონსულტაციები, სადაც მოსახლეობამ თავად განსაზღვრა, თუ რა ტიპის პროექტის განხორციელებას უნდა დაუჭიროს მხარი თავისივე სოფელში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 12 779 კორესპოდენცია. შემოსული კორესპოდენციები მოიცავს, როგორც მოქალაქეების განცხადებას, ასევე სამინისტროებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან გადმოგზავნილ დოკუმენტებს. აღნიშნული დოკუმენტაციები გადამისამართებულია ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებზე, მერიიდან გასული კორესპოდენციის რაოდენობამ შეადგინა - 72200 .

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის ხელშეწყობა

2022 წელი, კულტურის სფეროში, ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის წარმატებული იყო.

საანგარიშო პერიოდში კულტურის სფეროს დაწესებულებები მუშაობას წარმართავდნენ წინასწარ შემუშავებული გეგმების და პროგრამების მიხედვით. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თარიღები აღინიშნებოდა საინტერესო ღონისძიებებით.

- ◆ მოეწყო 100 წლის მეცნიერის, ღვაწლმოსილი ქალბატონის ელენე აბაშიძის საიუბილეო საღამო.

- ◆ გაიმართა სახალხო ზეიმი „ჭიათურობა“.

- ◆ მონაწილეობა მიიღო „არტ-გენის“ ფესტივალში, რომელზეც წარდგენილი იყო ხელნაკეთო ნივთები.

- ◆ ჩატარდა შესარჩევი ტური, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული დეკლამატორთა კონკურსისა, „ჩემი პარნასი“, პაოლო იაშვილის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

- ◆ გრძელდება მრავალწლიანი პროექტი: „სიყვარულის ბარათებით დავათბუნოთ დედამიწა.“

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთი საამაყო პროექტია წარჩინებული ჭიათურელი სტუდენტების დაჯილდოვება, ასევე დაჯილდოვდნენ მოსწავლეები, რომლებმაც საჯარო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედალზე დაამთავრეს.

წარჩინებული სტუდენტები: დაჯილდოვდა 20 სტუდენტი და გაიცა 20 000 ლარი.

დაჯილდოვდნენ ჭიათურის საჯარო სკოლის ოქროს (67 მოსწავლე; თითოეულს - 150 ლარი) და ვერცხლის (9 მოსწავლე; თითოეულს - 100 ლარი) მედალოსნები. ჯამში გაიცა 10 950 ლარი.

სპორტი და ახალგაზრდული:

სპორტის სხვადასხვა სახეობაში დაჯილდოვდა 57 სპორტსმენი და 26 მწვრთნელი.

წარმატებული ახალგაზრდები - ეკატერინე მამისეიშვილი „თენგიზ ამირეჯიბის“ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული.

ჯამში: 39 100 ლარი.

განათლების სფეროს მხარდაჭერა

ჭიათურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 43 (ორმოცდასამი) საჯარო და 1 (ერთი) კერძო სკოლა. 43 (ორმოცდასამი) საჯარო სკოლიდან 35 (ოცდათხუთმეტი) სკოლა სწავლებას ახორციელებს დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურზე, 9 (ცხრა) სკოლა კი დაწყებით და საბაზო საფეხურზე, ხოლო ერთი სკოლა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე I-VI კლასით.

ჭიათურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სულ სწავლობს 5 192 (ხუთი ათას ას ოთხმოცდა თორმეტი) მოსწავლე, აქედან 61.6 % სწავლობს ქალაქის 8 (რვა) სკოლაში, ხოლო 38.4% სოფელში მდებარე 36 (ოცდათექვსმეტი) საჯარო სკოლაში.

გასული სასწავლო წელი წარჩინებით დაასრულა 76 (სამოცდათექვსმეტმა) მედალოსანმა მოსწავლემ, აღნიშნული მოსწავლეებიდან 67 (სამოცდამეშვიდი) მოსწავლე გახლდათ ოქროს მედალოსანი, ხოლო 9 (ცხრა) მოსწავლე ვერცხლის მედალოსანი.

სკოლების ინფრასტრუქტურა

მიმდინარე წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტში მდებარე საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან და სკოლის

ბიუჯეტიდან გამოიყო გარკვეული რაოდენობის თანხები, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

✿ სსიპ ქალაქ ჭიათურის #1 საჯარო სკოლის სახურავის შესაკეთებლად და კოსმეტიკური სამუშაოებისთვის, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ დაიხარჯა 15005.13 ლარი;

✿ სსიპ ქალაქ ჭიათურის #4 საჯარო სკოლამ კეთილ მოეწყო სკოლის მთავარი შესასვლელი და ფიზიკის ლაბორატორიის ოთახი, სადაც სულ დაიხარჯა 4000 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ქალაქ ჭიათურის #5 საჯარო სკოლაში მთლიანად შეიცვალა სკოლის სახურავი, სრულად შეკეთდა და შეიღება სკოლის გარე ფასადი და გარემონტდა პირველი სართული (7 საკლასო ოთახი, 5 ოთახი, სააქტო და სპორტული დარბაზები, პირველი სართულის ფოიე და სასადილო). სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 336000 (სამასოცდა თექვსმეტი ათასი) ლარი.

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჭევის საჯარო სკოლაში დაიგო სკოლის ჭიშკრიდან სკოლამდე მისასვლელი ბეტონის საფარი, დაიხარჯა -29862 ლარი; ასევე, მოხდა ელექტრო ჯიხურის გადახურვა - 4909 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჭალოვანის საჯარო სკოლაში დაიხურა შეშის შესანახი საქვაზე და გაკეთდა სახურავის სრული რეაბილიტაცია - 3998 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მერევის საჯარო სკოლის სპორტ დარბაზში ნაწილობრივი შეკეთება (კედლები ,იატაკი) სულ დაიხარჯა 1500 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზეთის საჯარო სკოლაში გაკეთდა შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ,რომელზეც დაიხარჯა 13 259 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვითორის საჯარო სკოლაში დაიგო სკოლის ჭიშკრიდან სკოლის შენობამდე მისასვლელი ბეტონის საფარი, რომელზედაც სკოლის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 4985ლარი;

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წასრის საჯარო სკოლაში მოხდა ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაცია. შემაზე მომუშავე გათბობის სისტემის გადაყვანა ბუნებრივ აირზე, რომელზედაც დაიხარჯა - 17026 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრეთის #1 საჯარო სკოლაში გაკეთდა სამოქალაქო განათლების კლუბის ოთახის, რომლის სარემონტო სამუშაოებზე სკოლის ბიუჯეტიდან დაიხარჯა - 9951 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრეთის #2 საჯარო სკოლაში ორ საკლასო ოთახს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი და შეიცვალა ელ. გაყვანილობა, რომელზედაც დაიხარჯა 1500 ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურის საჯარო სკოლაში ჩატარდა სკოლის შენობის შიდა კიბეების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებამაც შეადგინა - 2915 ლარს (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლაში 6 (ექვს) საკლასო ოთახს და სამასწავლებლოს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, რომელზედაც დაიხარჯა - 40722 (ორმოცი ათას შვიდას ოცდაორი) ლარი (სკოლის ბიუჯეტიდან);

✿ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლაში ჩატარდა სკოლის ეზოში არსებული სკოლის დამხმარე შენობა - ნაგებობაში არსებული 5 (ხუთი) საკლასო ოთახის და ექიმის კაბინეტის რეაბილიტაციის სამუშაოები, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ დაიხარჯა 42 000 ლარი.

❁ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა შენობის უკანა ფასად და ასევე კოსმეტიკური სამუშაოები ჩატარდა მეორე სართულის ფოიეს, რომლის ღირებულებამ შეადგინა 18 000 (თვრამეტი ათას) ლარს (სკოლის ბიუჯეტიდან).

ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

ახალგაზრდულ საკითხთა და ხელოვნების დეპარტამენტი

ცნობილი ქორეოგრაფის ნინო რამიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება და კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას მისი დამსახურება ქართული ცეკვის მოყვარულთ.

27 იანვარს კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში წმინდა ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა წმინდანის მოღვაწეობის შესახებ.

ჭიათურის კულტურის ცენტრში განხორციელდა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც მიემდგვნა ბებიებს, როგორც დიდ დედებს. სტუმრად მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი და საზოგადოებისთვის ცნობადი, წარმატებული ბებოები.

22 მარტს, კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში მრავალპროფილიანი თავისუფალი თეატრის მიერ გაიმართა თოჯინური სპექტაკლის „ულუ და თეთ“ პრემიერა.

21 მარტს ჭიათურაში, თხელიძის ქუჩაზე, ცნობილი ფეხბურთელის ზურაბ წერეთლის საცხოვრებელ სახლზე მისი მემორიალური დაფა გაიხსნა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე, რომლის პირველი ეტაპი საჩხერეში გაიმართა 6 აპრილს, მონაწილეობდა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი "ჩანგი", რომელიც გადავიდა ფესტივალის შემდეგ ეტაპზე.

14 ივლისს კულტურის ცენტრში ახალგაზრდულ საკითხთა და ხელოვნების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა პოეტ ნინო ფრუიძესთან. ქალბატონმა ნინომ თავისი პოეზია გააცნო დამსწრე საზოგადოებას და გულწრფელი, სასიამოვნო მოწონებაც დაიმსახურა.

მიმდინარე წლის 14 ივლისს, სოფ ნავარძეთში, გაიხსნა ახალი რეკრეაციული სივრცე „მარიკას სკვერი“. გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო კვარტეტმა „ჭიათურამ“ და ანსამბლ „ჩანგის“ მოცეკვავეებმა.

მიმდინარე წლის 15 ივლისს, გახსნის დღეს, თბილისში, ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში გამართულ ფესტივალზე „არტ-გენი“ კულტურის ცენტრის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ჩანგი“ ოთხი ნომრით წარსდგა მაყურებლის წინაშე (ორი ცეკვა, ორი სიმღერა).

25 ივლისს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩანგი“ ჭიათურელი საზოგადოების წინაშე შემაჯამებელი კონცერტით წარსდგა.

ანსამბლ „ჩანგის“ გასტროლი თურქეთში. ქალაქ სტამბოლის, ბუიუკჩემენჯეს მუნიციპალიტეტში გამართულ კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ცეკვის მიმართულებით მსოფლიოს 64 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას ანსამბლმა „ჩანგმა“ მეორე ადგილი დაიკავა. ასევე დუეტების კონკურსში მოცეკვავეებმა თათია კობახიძე და ბუბა სავანელმა მესამე ადგილი დაიმსახურეს.

სექტემბერში, დაბა ურეკში, გაიმართა ფესტივალი „მზიანი საქართველო“, სადაც მრავალპროფილიანი თავისუფალი თეატრი წარსდგა სპექტაკლით „არ გვიკადრა“. სპექტაკლმა ჯილდო "მაყურებლის სიმპათია" დაიმსახურა. აგრეთვე სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ მონაწილეები.

15 სექტემბერს კულტურის ცენტრთან არსებულმა მრავალპროფილიანმა თავისუფალმა თეატრმა ახალ თეატრალურ სეზონი გახსნა თოჯინური სპექტაკლი „მიმი და სეიკოს თავგადასავალი“-ს ჩვენებით.

26 სექტემბერს, ახალგაზრდულ საკითხთა და ხელოვნების დეპარტამენტის მიერ, პოეტ დოდო აბაშიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა კულტურის ცენტრში. ქალბატონ დოდოს 85 წლის იუბილე მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა გივი მოდებაძემ.

5 ნოემბერს დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართება ლიტერატურული საღამო.

მრავალპროფილიანი თავისუფალი თეატრის მიერ მიმდინარეობს გეგმიური სპექტაკლების ჩვენება (ნოემბერი-დეკემბერი).

17-დან 21 ნოემბრის ჩათვლით მრავალპროფილიანი თავისუფალი თეატრი მიწვეული იყო ლიეტუვის რესპუბლიკაში, საერთაშორისო ფესტივალში, „მასკარადი“ მონაწილეობის მისაღებად, რომელიც დაჯილდოვდა განპრით.

კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი

7 იანვარი - ქიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ირლანდიის დუბლინის საკვირაო სკოლა „ლამპარის“ და ისტორიის პედაგოგთა ასოციაციის ერთობლივი ონლაინ კონფერენცია „მუზეუმები და სკოლა“.

14 იანვარი - ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით თატრალური მუზეუმის ისტორიის და დაფუძნების გახსენება.

8 თებერვალს დავით აღმაშენებლის ხელების და ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღესთან დაკავშირებით მომზადდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი.

ელექტრონულად მომზადდა სამეცნიერო ჟურნალის „არგვეთის ქვეყანა“ N4.

საქართველოს ოკუპაციას მიეძღვნა საგანმანათლებლო პროექტი, სადაც მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და მიმოიხილეს 1918-21 წლები.

„უკრაინული ხელოვნება და ხელოვანები“ საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტი.

28 მარტი თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტი თეატრი და ერთა შორის მშვიდობა.

ქირურგიის ფუმემდებლის გ.მუხადის გახსენება.

განხორციელდა სამოქალაქო კლუბის და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პროექტი „პანდემია და ადამიანები“.

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სამოქალაქო კლუბის „წარმატებული მომავლისათვის“ მუზეუმის საგამოფენო დარბაზში განხორციელდა პროექტი, რომელიც მიეძღვნა აღნიშნულ დღეს.

2022 წლის **აპრილის თვეში** გაიმართა ვიქტორინა " მე და ჩემი ქალაქი", მონაწილეობას იღებდა სოფელ ნიგოზეთის, ქვაციხის და ითხვისის ნომერ პირველი საჯარო სკოლა.

მაისის თვეში სოფ. კაცხში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით მოეწყო აგროტურისტული ფესტივალი.

მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტი, რომელიც ეძღვნებოდა ჰერმან აბიხის მოღვაწეობას.

ღია ლექცია ჩატარდა მუზეუმში, რომელიც განკუთვნილი იყო სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის, თემაზე: „ქრისტიანული რელიგია და მისი როლი ქართველი ხალხის ეროვნულ ცნობიერებაში“.

მუზეუმის ინიციატივით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჩართულობით მომზადდა ერთობლივი პროექტი „რა? სად? როდის?.

8 აგვისტოს გავიხსენეთ აგვისტოს ომის გმირი ჭიათურიდან ბაჩო კუპატაძე.

29 აგვისტოს მოეწყო ღონისძიება, რომელიც მიემდგვნა 1924 წლის აჯანყებას.

სასწავლო-საგანმანათლებლო დეპარტამენტი

ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა - 3 მარტი, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლითაც გამოიხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა უკრაინის მიმართ.

ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა - 12 აპრილი, ჩატარდა ზურაბ ანჯაფარიძის ტრადიციული საიუბილეო საღამო.

ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა - 20 ივნისი, საანგარიშო აკადემიური კონცერტი.

ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა - 20-29 ივნისი, საანგარიშო სოლო კონცერტები ჩატარეს ანსამბლებმა: „ჭიათურა XXI“, „ციცინათელა“, „DANS FORUM“, „ELEGANT“.

გ. მოდებაძის სახელობის საბავშვო თეატრალური სტუდია „ცისკარა“ - ჩატარა სპექტაკლები „რწყილი და ჭიანჭველა“, „ციცქნა იას დღეობა“.

ჭადრაკის წრე - აპრილი-მაისი, ჩატარდა კულტურის ცენტრში არსებული საჭადრაკო წრის მოსწავლეთა და დარკვეთის საკლუბო დაწესებულების საჭადრაკო სკოლის მოსწავლეთა მეგობრული თამაშები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში.

საახალწლო კვირეული - სამუსიკო და ქორეოგრაფიული სკოლა, თეატრალური სტუდია.

სანდრო კავსადის სახელობის N 1 სამუსიკო სკოლა

დედის და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო.

9 აპრილისადმი მიძღვნილი კონცერტი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

კონკურს- ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავების 2022 წ“, სადაც სკოლის 21 ინდივიდუალური შემსრულებელი და ფოლკლორული გუნდი „იმერეთი“ იღებდა მონაწილეობას, გუნდმა და ექვსმა მონაწილემ მოიპოვა გალა კონცერტზე მონაწილეობის უფლება, ხოლო ჩვენი სკოლის მოსწავლე ეკატერინე მამისეიშვილმა მოიპოვა სპეციალური პრიზი ნომინაციით - „ჟიურის სიმპათია“.

კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი 2022“, სადაც სკოლის 11 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, აქედან: 7-მა მოსწავლემ - I ადგილი, 4-მა მოსწავლემ - II ადგილი დაიკავა და მოიპოვა გალა კონცერტზე მონაწილეობის უფლება.

ახალგაზრდა პიანისტა VIII საერთაშორისო კონკურსში სკოლის ორი მოსწავლის - თეკლა წერეთლის და თინანო ღავთაძის წარმატებული გამოსვლა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის და ქალაქების რჩეულ პიანისტა გარემოში უხდებოდათ გამარჯვების მოპოვება. თეკლა წერეთელმა ამ ურთულეს კონკურენციაში III ადგილი, მედალი და ფულადი პრემია (500 ლარი) მოიპოვა, ხოლო თინანო ღავთაძემ - ლაურეატის წოდება.

19 მაისს ჩატარდა კონცერტი, პედაგოგ ლუდა ნადირაძის კლასის, ყოფილი მოსწავლის - მსოფლიო დონის პიანისტის სანდრო გეგეჭკორის და ამჟამინდელი მოსწავლეების: ეკატერინე მამისეიშვილის, თინანო ღავთაძის, სალომე ფხალაძის და თეკლა წერეთლის მონაწილეობით. კონცერტი მიემდვნა სკოლის 90 წლის იუბილეს რომელიც სრული ანშლავით ჩატარდა და უდიდესი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში.

1-5 ივნისს სკოლის მოსწავლეებმა თეკლა წერეთელმა და სალომე ფხალაძემ წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები მუსიკალური სემინარიის IX კლასში, თეკლა წერეთელმა

მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება, ხოლო სალომე ფხალაძე დააფინანსა კომპანია „ჯორჯიან მანგანეზმა“.

სექტემბრის თვეში თბილისის ე. მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისა და ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ალ. ნიჟარაძის 90 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი პიანისტთა მუსიკალური ფორუმი.

ფორუმზე თბილისის, თელავის, ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის, საჩხერის, გორის და ზესტაფონის სამუსიკო სკოლების წარმატებული დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები წარსდგნენ.

ფორუმზე ჭიათურის ს. კავსაძის სახელობის N 1 სამუსიკო სკოლა წარადგინა ქალბატონმა ლუდა ნადირაძემ და მისმა მოსწავლემ ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატმა - თეკლა წერეთელმა.

21-24 ოქტომბერს ბორჯომში ჩატარდა თ. ამირეჯიბის სახელობის V III პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი. ს. კავსაძის სახელობის N 1 სახელობის სამუსიკო სკოლამ თ.ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა VIII საერთაშორისო კონკურსიც წარმატებით დააგვირგვინა. I ადგილის მფლობელი გახდა I კატეგორიაში - ეკატერინე მამისეიშვილი, და ასევე გახდა, ფულადი პრემიის მფლობელი, ხოლო II კატეგორიაში III პრემია მოიპოვა - თინათინ ღვთაძემ.

30 ოქტომბერს სკოლის გაერთიანებული გუნდი წარსდგა ჭიათურობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

ოქტომბერ - ნოემბერში საგუნდო საზოგადოების მიერ ჩატარდა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VI ეროვნული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის ფოლკლორულმა გუნდმა. სკოლამ სამივე კატეგორიაში უმაღლესი შედეგი მოიპოვა.

გივი თხელიძის სახელობის N2 სამუსიკო სკოლა

2022 წლის იანვრის თვიდან ა.ა.იპ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გ. თხელიძის სახ. N 2 სამუსიკო სკოლამ ჩაატარა საქალაქო და შიდა სასკოლო ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ და დაიმსახურეს დიპლომები და სიგელები:

კლასიკური მუსიკის მე-15 საერთაშორისო კონკურს ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები (ქ. ზესტაფონი); ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი; კლასიკური მუსიკის მე-14 კონკურს ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“ (ქ. თბილისი); კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურსი ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები გალა კონცერტი (ქ. თბილისი); 9 აპრილისადმი მიძღვნილი კონცერტი; კლასიკური მუსიკის მე-14 კონკურს ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი,“ (გალა კონცერტი ქ. თბილისი); სენაკის ხელოვნების ფესტივალი - 22 (ქ. სენაკი); „ხელოვნების ფესტივალი 2022 „ გალა კონცერტი“ (ქ. სენაკი); 9 მაისისადმი მიძღვნილი კონცერტი; „ჩემი პირველი კონცერტი“; საქალაქო კონცერტი; ქუთაისის საყმაწვილო დელფიადა (ქ.უთაისი); საერთაშორისო ფესტივალი „ჩემი ლამაზი ქვეყანა-ბათუმი 2022“; გალა კონცერტი“ (ქ. ბათუმი); ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ჭიათურობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა

2022 წლის ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში ირიცხება 238 მოსწავლე. სწავლება მიმდინარეობს სამ ცვლაში შემდეგი სპეციალობებით; 1) ფერწერა, 2) გრაფიკა, 3) კომპოზიცია, 4) ხელოვნების ისტორია, 5) ხეზე მხატვრული კვეთა, 6) ფოტოკლუბი, 7) კომპიუტერილი გრაფიკა, 8) ხელგარჯილობა (ქსოვა,ქარგვა).

სკოლა აქტიურად ჩაერთო ქალაქში გამართულ სხვადასხვა კულტურულ მასობრივ ღონისძიებებში. კერძოდ, 26 მაისს კულტ-შემოქმედებითი ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაწყვეთ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა,ადგილზე მიმდინარეობდა სადღესასწაულო პროცესის მხატვრული ფორმით ტილოზე გადმოტანა. სკოლის პედაგოგების მიერ მოხატული

იქნა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული შენობის გარკვეული ნაწილი, რომლის აბსტრაქციულმა სილამაზემ ნამდვილად დამსახურება ჰპოვა.

პირველ ივნისს - ბავშვთა დაცვის დღეს კულტ.შემექმედებითი ცენტრის ეზოში მოეწყო მოსწავლეთა ნახატების დიდი გამოფენა, აგრეთვე მთელი ღონისძიების განმავლობაში ჩვენი მოსწავლეების მიერ ხდებოდა პატარა ბავშვების სახის მოხატვა.

15 ივნისს როგორც საჯარო, ისე სახვითი ხელოვნების სკოლაში დამთავრდა სასწავლო პროცესი. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებზე გაცემული იქნა შესაბამისი მოწმობები.

ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლამ აქტიურად დაიწყო მზადება მომავალი სასწავლო წლისათვის (რაშიც იგულისხმება სკოლის შენობის კაპიტალური რემონტისა და დამატებითი სასკოლო ინვენტარის შეძენა). მოპირკეთდა სახვითი ხელოვნების სკოლის როგორც შიდა, ისე გარე ინტერიერი, აგრეთვე პარარელურად მოიხატა კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სკეიტბორდის მოედანი.

სექტემბრის თვეში მოხდა სკოლის სახურავის გადაღება და აგრეთვე შეკეთდა-შეიღება სასწავლო ინვენტარი (სახატავი დაფები, ტუმბოები და რკინის დანადგარები).

ოქტომბრის თვეში დამთავრდა სკოლის შენობის რეაბილიტაცია და ჭიათურობა 2022-ის კვირეულში საზეიმოდ გაიხსნა სკოლა. სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდას მოჰყვა ოთხი პედაგოგის დანიშვნა. სკოლისთვის შეძენილ იქნა ხეზე კვეთის დაზგა. სასწავლო პროცესის აქტიური წარმართვისათვის სკოლამ შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა.

ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა

ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა აერთიანებს შვიდ საქალაქო და ოცი სოფლის ბიბლიოთეკას.

ცენტრალური ბიბლიოთეკა 2022 წლის განმავლობაში სულ მოემსახურა 4993 მკითხველს და მათზე გაიცა 51957 ერთეული წიგნი.

ბიბლიოთეკებში მოეწყო სხვადასხვა სახის მუდმივი და დროებითი გამოფენები, ჩატარდა ღონისძიებები აქტუალურ თემებთან დაკავშირებით.

ასევე ჩატარდა ღონისძიებები სოფლის ყველა ბიბლიოთეკაში მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით.

2022 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ ბიბლიოთეკებისთვის გამოყოფილი თანხით შეძენილი იქნა 433 ერთეული წიგნი ღირებულებით - 4949 ლარი.

აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრი

მიმდნარე წელს ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელდა შემდეგი სპექტაკლები:

27 ოქტომბერს 128-ე თეატრალური სეზონი გაიხსნა ნოდარ დუმბაძის მოთხრობის "ბოშების" მოტივებზე შექმნილი სპექტაკლით „ბოშები“, დამდგმელი რეჟისორი: კობა სხილაძე. სპექტაკლი განხორციელდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

0 ნოემბერს პრემიერა გაიმართა ანა იაბლონსკაიას პიესის „მენავეს“-ს მოტივებზე შექმნილი სპექტაკლისა „უბრალო ამბავი“. მთარგმნელი, სცენური ვერსიის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი დავით ნიკოლაძე. კომპოზიტორები: სანდრო ნიკოლაძე, დავით კაკულია. მხატვარი - ლომგულ მურუსიძე, კოსტიუმების მხატვარი - ნუცა ნინო ჭყონია. სპექტაკლი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

ასევე გაიმართა რეჟისორი კობა გოგიძის მიერ ხალხურ მოტივებზე შექმნილ სპექტაკლს „რწყილი და ჭიანჭველა“-ს პრემიერა. სპექტაკლი განხორციელდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

ჭიათურის სახელმწიფო თეატრში წლის ბოლომდე კიდევ ერთი სპექტაკლის პრემიერა იგეგმება. ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი ქლაინი საქართველოს კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესის მიხედვით შემქნილ სპექტაკლს „ზვავი“ განახორციელებს.

27-ე სპორტული სკოლა

ქიათურის მუნიციპალიტეტის #27-ე კომპლექსურ სპორტულ სკოლაში 14 სპორტის სახეობის სექციებში ჩაბმულია 609 ბავშვი, რომელთა სპორტულ აღზრდას ემსახურება 39 კვალიფიცირებული მწვრთნელი.

2022 წელს სკოლის ნაკრებმა გუნდებმა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე წარმატებით იასპარეხეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში და დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

- გივი ხვედელიძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში III ადგილი)
- გიორგი ცხადაძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში I, II, III, III.)
- თაკო გვიმრაძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში II, II, II, III.)
- გიორგი კაპანაძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში III ადგილი)
- გურამი ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში I ადგილი)
- რევაზი სარალიძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში III ადგილი)
- ერეკლე ტაბატაძე (ევროპის ჩემპიონატი ჯადრაკში III ადგილი)
- ანი ჩაჩანიძე (საქ. ჩემპიონატი, თავისუფალი ჯიდაობა II ადგილი)
- ნინო ციცვიძე (საქ. ჩემპიონატი, თავისუფალი ჯიდაობა III ადგილი)
- თეა კაპანაძე (საქ. ჩემპიონატი, თავისუფალი ჯიდაობა III ადგილი)
- მირანდა კაპანაძე (საქ. ჩემპიონატი, თავისუფალი ჯიდაობა I ადგილი)

- შირანდა ცხოვრებაძე (საქ. ჩემპიონატი, თავისუფალი ჭიდაობა III ადგილი)
- თამუნა გოგოლაძე (საქ. ჩემპიონატი, თავისუფალი ჭიდაობა III ადგილი)
- ბეჟანი ყობიაშვილი (საქ. ჩემპიონატი, კრივში III ადგილი).
- ლაშა გაგნიძე (საქ. ჩემპიონატი, კრივში I ადგილი)
- ნათია ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში II ადგილი)
- თენგიზ ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში I, I ადგილი)
- დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში III, III ადგილი)
- ერეკლე ტაბატაძე (საქ. ჩემპიონატი ჭადრაკში I ადგილი)
- ლაშა გაგნიძე (ევროპის. ჩემპიონატი, კრივში III ადგილი)
- (დავით ბუხრაშვილის სახელობის რეგიონალური ტურნირი კალათბურთში) I - ადგილი
- გიზო მაჭარაშვილი (საქ. ჩემპიონატი კრივში, III ადგილი)
- თენგიზ ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში I, I ადგილი)
- ნათია ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში I, II ადგილი)
- დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში III ადგილი)
- თამარ ასანიძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში III, III ადგილი)
- ნათია ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში II ადგილი)
- ერეკლე ტაბატაძე (საქ. ჩემპიონატი ჭადრაკში II ადგილი)
- გიორგი გაფრინდაშვილი (დავით ბუხრაშვილის სახელობის რეგიონალური ტურნირი კალათბურთში) ჭიათურა I - ადგილი
- გიზო მაჭარაშვილი (საქ. ჩემპიონატი კრივში, III ადგილი)
- თენგიზ ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში I, I ადგილი)

- ნათია ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში I, II ადგილი)
- დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში III ადგილი)
- თამარ ასანიძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში III, III ადგილი)
- ნათია ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში II ადგილი)
- ერეკლე ტაბატაძე (საქ. ჩემპიონატი ჭადრაკში II ადგილი)
- თენგიზ ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში II, II ადგილი)
- მანუჩარ ყიფშიძე (საქ. ჩემპიონატი, ძალოსნობაში I ადგილი)
- გურამ ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი, ძალოსნობაში III ადგილი)
- გიორგი კაპანაძე (საქ. ჩემპიონატი, ძალოსნობაში II ადგილი)
- რევაზი სარალიძე (საქ. ჩემპიონატი, ძალოსნობაში II ადგილი)
- გიორგი ცხადაძე (საქ. ჩემპიონატი, მძლეოსნობაში II ადგილი)
- მირანდა კაპანაძე (ევროპის ჩემპიონატი, თავისუფალი ჭიდაობა II ადგილი)
- რევაზი სარალიძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში II ადგილი)
- მანუჩარ ყიფშიძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში III ადგილი)
- გიორგი კაპანაძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში III ადგილი)
- გურამ ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში II ადგილი)
- ლაშა გაგნიძე (ევროპის ჩემპიონი III ადგილი)
- მირანდა კაპანაძე (ევროპის ჩემპიონი თავის.ჭიდაობა II ადგილი)

9 აპრილის ქუჩაზე არსებულ სტადიონზე მოეწყო ხელოვნური საფარი და განათება თანხით 35774 ლარი. ჭავჭავაძის ქუჩაზე განხორციელდა კალათბურთის დარბაზის რეაბილიტაცია

თანხით 70595 ლარი. ასევე საკალთხურთო დარბაზის გარე ფასადს ჩაუტარდა რეაბილიტაცია ღირებულებით 4956 ლარი.

2022 წელს სპორტული სკოლის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ კალათბურთში, დავით ბუხრაშვილის სახელობის რეგიონალური ტურნირი.
- ❖ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის თასი.
- ❖ კრივში, ცნობილი ქართველი მოკრივეების თენგიზ ჯაოშვილის და სპარტაკ ასანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან გასაწვევი იყო 30 წვევამდელი, აქედან:

- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გასაწვევი იყო 4 წვევამდელი, ჩარიცხულია 6 წვევამდელი;
- ✓ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევი იყო 25 წვევამდელი, ჩარიცხულია - 25.

გარდა ამისა, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაირიცხა 2 წვევამდელი. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში 3 წვევამდელი, ვადიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში 3 წვევამდელი. ნებაყოფილობით რეზერვში გაწვეულია 1 წვევამდელი, სულ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაწვეული იქნა 40 წვევამდელი.



2022 წელს მიღწეულ წარმატებებში, განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებში დიდია მთავრობის, მაჟორიტარი დეპუტატის, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის როლი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში რამდენიმე ერთობლივი პროექტი განხორციელდა კომპანია „ჯორჯიან მანგანგანეზის“ აქტიური ჩართულობით.

2022 წლის მნიშვნელოვანი პროექტები

„განახლებული რეგიონების“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები





„საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში -კაცხის სვეტთან მისასვლელ საავტომობილო გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდა



მდაროელთა მოედნისა და წინოშვილის ქუჩის დამაკავშირებელ ხიდს რეაბილიტაცია ჩაუტარდა



„საკურას ხეივანი“ და „გედების ტბა“





ჭიათურის შემოსასვლელში, სოფელ ნავარძეთის ტერიტორიაზე, ქალაქზე გადმოსახედი სივრცე
- „მარიკას სკვერი“ მოეწყო.



ქალაქის ისტორიულ ადგილას, სადაც 1892 წელს საქართველოში პირველი ჩოგბურთის კორტი მდებარეობდა - ღია მუზეუმი გაკეთდა.





ტოლსტოის ქუჩაზე, ყოფილი მე-10 სკოლის ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე ტიპის სპორტული მოედანი გაიხსნა



მიმდინარე პროექტები:

„საშეგარდნოს კლდეზე“ ქალაქზე გადმოსახედი სივრცის მოწყობა დაიწყო



რეკრეაციული ზონისა და სკვერის მოწყობა მიმდინარეობს ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე

